კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების ფილოსოფია

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

სამართალი ზოგადად სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მიერ შექმნილი სიციონომიური ცნებობრივი დეფინიციების სილოგურად განვითარებადი სამყაროა, რომელიც აწესრიგებს ადამიანთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. სამართალი, ჩემი აზრით, შეიქმნა იურიდიული საზრისებისა და ფილოსოფიური იდეალების კომბინატორული შერწყმის წყალობით. სამართალი შვა ფილოსოფიამ, ხოლო ფილოსოფია შექმნა თეოსოფიურმა ეზოთერიკამ. კანონი სამართლის ცენტრალური აზრობრივი მოცემულობაა, რომელიც ორიენტირებულია ემპირიული ფაქტოლოგიისა და დეონტური ლოგიკის კორელირებაზე. კანონი გახლავთ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული პრესკრიფციული ნორმატიული ბაზისი, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და აკისრებს მას სამართლებრივ ვალდებულებებს. უფლება ვალდებულების გარეშე ქაოსის წინაპირობაა, ხოლო ვალდებულება უფლების გარეშე ტირანიაში გადაიზრდება. კანონი დასავლურმა გნოსტიკურმა ცივილიზაციამ ფაქტოლოგიურ კონდიციად გარდაქმნა, ხოლო აღმოსავლურმა სოფისტურმა კულტურამ იგი აღიქვა მძლავრ სიბრძნისმიერ ბაზისად რომელიც ეფუძნება კოსმოცენტრულ იდეალებსა და ზეგრძნობად ინტუიტურ შემეცნებას. ევროპეიდული სამართლის სამყაროში არა ერთმა მეცნიერმა დაადასტურა კანონისმიერი ვალდებულებების კომპლექსურად განხილვის აუცილებლობა. ურთიერთშეეჯახა ადამიანის ნების ავტონომია და სამოქალაქო თვითშეგნებაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი საჭიროებებით გამოწვეული სოციოლასტრული ვალდებულებების დეციზიონიოსტური აზროვნების აპოფატიკური ფორმაცია. კანონი სამართლებრივი აზროვნების საფუძველია, ხოლო იურიდიული დოგმატიკა ნებისმიერი სახის კანონისმიერი მექანიზმის აუტოპოიეტური საწყისია. სამართლებრივ შეხედულებათა ურთიერთგაცვლამ წარმოშვა კონტინენტალური ევროპის სამართლის განვითარების ახალი საფეხური - ადამიანთა ღირებულებების დამცველი ტრანსატლანტიკური იურისპრუდენცია, რომელმაც კანონის წარმოშობის პროცესის მამოძრავებელ ძალად დასახა პოლიეთნოგენური საზოგადოების მიერ შექმნილი მონოვალენტური სამართლებრივი ღირებულებების დესუნქციური მთლიანობა. ანგლო ამერიკულმა იურიდიულმა სამყარომ სათავე დაუდო სუპრანაციონალურ იურიდიულ სისტემათა ერთ დეინტურ აბსულატად შეკვრის უმძლავრეს აზრობრივ ეპოპეას. კანონი იქმნება საზოგადოებრივი განვითარების დონის ასამაღლებლად, თუმცა ხშირად იგი კონკრეტული ადამიანის შინაგან აზრობრივ ველში თრგუნავს ინდივიდუალურ ღირებულებას, რაც იწვევს ამ ადამინში საზოგადოებისგან განზიდვის სურვილის წარმოშობას. ჩემი აზრით, საჭიროა ისტორიულ-გენეტიკური მისწრაფებებისა და ემპირიულ-ანალიტიკური უნარების სისტემატიზირების გზით კანონისმიერ დათქმაათა რელატივაციაზე ორიენტირებული თეორეტიკული კონცეფციის შექმნა. ყოველ კანონს თითოეული ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს, რადგან სხვადასხვა ტრადიციულ გარემოში აღზრდილ პიროვნებებს აბსოლუტურად წინააღმდეგობრივი შეხედულებები აქვთ ისტორიულ-სამართლებრივი მეხსიერების შესახებ. კანონი, ჩემი აზრით, ერთგვარი კონტრუენტული აზრობრივი ბურუსია, რომელსაც კაცობრიობამ საკუთარი განვითარების პროცესის წარმართველი იდეური შინაარსობრივი ეთიკის კომპარატორული მატერიალიზატორის ზეეპოქალური ფუნქცია მიანიჭა.

ზოგადად, იშვიათად ხვდებით მუდმივ სამართლებრივ ნორმებს, რადგან კაცობრიობა კონკტრეტულ მოვლენას სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულ აზრობრივ სიბრტყეში განიხილავს. სამართლებრივი იდეალი, რომელიც ხშირად კანონისმიერი ვალდებულების სინქრონულ და დიაქრონულ ჭრილში შესწავლის პროცესში ცხადდება, წარმოადგენს იურიდიულ საზრისთა დედუქციურ კუმულაციას. ზოგადად, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის დოგმატიკაში ერთმანეთს ოსტატურად ერწყმის ფსიქოგენეტიკური მახასიათებლების რელატიურად ცვალებადი ბუნება და ფსიქოსოციალური აზროვნების დეონტური უნივერსუმი. თავისუფლად შეიძლება ითქვას! სამართალი გახლავთ ისტორიულ ცვალებადობას დაქვემდებარებული ნორმატიული მართლწესრიგი, რაც აშკარად ტრივიალური

ჭეშმარიტებაა. იურიდიულ საზრისთა კუმულაციური განხილვის პროცესს მივყავართ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენამდე. რა არის სამართლის ნორმა, თუ არა ჰიპითეტური ჯერარსული წინადადება, რომელსაც აქვს ოპტიკური და აკუსტიკური აღქმა. ოპტიკური აღქმისის ადამიანი ნორმის გააზრებას ახორციელებს თვალის მეშვეობით, ხოლო აკუსტიკური აღქმისას ნორმა შინაარსობრივად განიხილება ადამიანის ცნობიერ სამყაროში. ზემოაღნიშნულ აღქმის სახესხვაობათა იურიდიულ ექსტრაპოლაციას ჩვენ მივყავართ სამართლის ნორმის შემქმნელის იურიდიული აზროვნების კონტენაპლაციურ წვდომასთან, რაც სამართლის ნებისმიერ დარგში მაღალ ინტელექტუალურ ეგზისტენციატა დაუფლების საწინდარია. ჩემი აზრით, კანინისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების სფეროში საჭიროა დოგმატიკური განვითარების საფეხურიდან ზენორმატიული პროგრესირების დონემდე ამაღლება, ჩემი სუბიექტური შეხედულებით, კანონისმიერი ვალდებულება უნდა იქცეს სამართლის რეტროაქტიური განვითარების აქსიომატურ საფუძვლად. ზოგადად საჭიროა კანონისა და კონვერციონალური მორალის კომბინირება რაც გამოიწვევს მყარი ინდივიდუალური ფორმალისტური ეთიკისა და მძლავრი იურიდიული აზრობრივი რეალიების ჩამოყალიბებას. ზოგადად, ჩემი აზრით, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის კვლევისას, აუცილებელია სამი მთავარი ცივილისტური დოქტრინალური მოძღვრების - სანივთო, ვალდებულებითი და სახელშეკრულებო სამართლის მიღწევათა ერთობლივი განხილვის გზით ახალი ევოლუციური სისტემის - ინტუიტური ანუ ე.წ. სინუისტიკური ცივილისტიკის კონცეფციის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ისტორიულ გამოცდილებასა და ანალიტიკური აზროვნების თეოსტრატიულ პროცესს. დადგა დრო ისტორიული შეხედულებებისა და პარადიგმატული ოდეალების შერწყმისა, რაც გვაახლოებს რაციონალიზმის იდეური დიქტატურის რღვევასთან და ამ გზით ახალი ალტრუისტული იურისპრუდენციის დიადი ეპოქის დაწყებასთან. დასკვნა, კაცობრიობა იურიდიული განვითარების ახალ ფაზაში გადადის, კერძოდ კი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის დოგმატიკური მეტამორფოზა უკვე განაპირობებს სამართლებრივი ცივილიზაციის პროცესში კომუნიტარიზმის და აუტოპოიეტიზმის აქტიურ ჩართვას, რაც ეპოქალური პროგრესია.